გარდა ზემოთ აღნიშნული მონოგრაფიისა, ალექსანდრე ბურთიკაშვილის კალამს ეკუთვნის: ნატო გაბუნია (1949 წ.), სცენის ოსტატები (1951 წ.), შალვა დადიანი (1951 წ.), გიორგი არადელ-იშხნელი (1954 წ.), ალექსანდრე იმედაშვილი (1956 წ.), ალექსანდრე ყაზბეგი (1955 წ.), თეატრალური პორტრეტები (1958 წ.), ვახტანგ ჭაბუკიანი (1961 წ.), ლადო მესხიშვილი (1962 წ.), თეატრალური პორტრეტები (1963 წ.), შაქრო გომელაური (1959 წ.), ნუცა ჩხეიძე (1963 წ.) და უამრავი რეცენზია, მოგონება, მინიატურა, იუმორისტული ჩანახატი.

რით აიხსნება ალექსანდრე ბურთიკაშვილის ნაწარმოებთა პოპულარობა?

დაუშრეტელი ენერგიით, ძიებით, თხრობის ოსტატობით, ხატოვანი სტილით და, რაც მთავარია, თეატრალური ხელოვნების საფუძვლიანი ცოდნით.

ღვაწლმოსილ ხელოვანსა და მკვლევარს სამოცდაათი წელი შეუსრულდა, მაგრამ იგი კვლავ გატაცებით მუშაობს თეატრალურ პორტრეტებზე. მკითხველი მალე მიიღებს ლადო მესხიშვილისა და ვალერიან გუნიას ვრცელსა და შინაარსიან მონოგრაფიებს.

ბაადურ კალანდარიშვილი

წ ი გ ნ ი ს თ ე ა ტ რ ი

გაგაოცებთ ალბათ სახელწოდება „წიგნის თეატრი". ახალი თეატრი უკვე მუშაობს კოსტრომაში. მისი დამაარსებელი და დირექტორია ა. ხ. პუშკინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე რ. შევცოვი. წიგნის თეატრმა, რომელიც რუსული საბჭოთა და კლასიკური ლიტერატურის, აგრეთვე საზღვარგარეთის პროგრესულ მწერალთა შემოქმედების პროპაგანდას ეწევა, გასულ წელს დაიწყო მუშაობა.

წარმოდგენა იწყება პატარა ლექციით, შემდეგ უჩვენებენ სპექტაკლს ან თემატურ კონცერტს, რასაც მოჰყვება სამეცნიერო-პოპულარული ან დოკუმენტური ფილმების დემონსტრირება.

თეატრის პირველი პროგრამა მიეძღვნა ა. ხ. პუშკინის შემოქმედებას. პოლიტიკური განათლების სახლის საოლქო ბიბლიოთეკის ფოიეში მოეწყო წიგნების საინტერესო ექსპოზიცია თემაზე „პუშკინი—რუსული პოეზიის მზე", რომელზეც წარმოდგენილი იყო პოეტის სიცოცხლეში გამოხული ზოგიერთი წიგნი და ცნობილი რუსი მხატვრების ქმნილებათა რეპროდუქციები.

კოსტრომელებმა უკვე ნახეს თეატრის ხუთი დადგმა: „მ. ი. ლერმოსტოვი — ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის მომღერალი", „ა. ი. გერცენი — დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, ფილოსოფოსი და მწერალი" და სხვ.

ლიტერატურული პროპაგანდის ამ ახალმა და თავისებურმა ფორმამ კულტურის მუშაკთა ყურადღება მიიპყრო; ხაზოგადოებრივ საწყისებზე თეატრის მუშაობაში მონაწილეობენ ქალაქის აკადემიური გუნდი, განათლების მუშაკთა სახლის დრამატული წრე, ადგილობრივი თეატრებისა და ფილარმონიის მსახიობები.